**რედაქცია:** სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლში, № 8.

**კანტორა რედაქციისა:** სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8.

**ხელის-მოწერა** მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

# დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

**განცხადება:** მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

**ფასი განცხადებისა:** [illegible]ებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდით გამოგზავნილი სტატიები. Დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

ყოველ-დღიური გაზეთი

## „დროება“

**ხელის-მოწერა:** თფილისში, რედაქციის კანტორაში (სერგიევის ქუჩაზე, Ივ. Ამირაგოვის სახლებში, № 8).

Ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი. *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба.“*

**გაზეთის ფასი:** მთელის წლისა—8 მან., ½ წლის—4 მან. და 50 კაპ., ოთხი თვის—3 მან.

## ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

**ლონდონი, 1 მარტს.** გაზეთს „ტაიმსს“ მოუვიდა სტამბოლიდამ ამბავი, რომ Ოსმალეთს განზრახვა აქვს Თესსალიის აჯანყებულების დასამშვიდებლად გაგზავნოს ვოლოში ორი კორპუსი ჯარი.

**ვენა, 1 მარტს.** ბუხარესტიდამ იწერებიან აქ, რომ კიშინევში დამზადებული ჰყავთ რუსებს ჩინოვნიკები, რომელნიც ბესსარაბიის გამგეობისათვის არიან დანიშნულნიო; ესენი უმაღლეს მთავრობისაგან მოელიან დღე-დღეზე ბრძანებას და[illegible] ბესარაბიაში წავლენ და ამ მხრის მმართვას დაიწყებენო.

**ჰასსან-ყალა, 1 მარტს.** („Ობზორის“ დეპეშა). Არზრუმში დაარსებულმა ჩვენმა კომისიამ გაასუფთავა და გაწმინდა ორი დიდი სასაფლაო, რომელიც ხელად გააკეთეს რუსებმა დახოცილი სალდათებისათვის. Კომისიამ გაწმინდა აგრეთვე Ოსმალოს ჯარისათვის გაკეთებული პირუტყვის საკლავი ალაგი, რომელიც შიგ ქალაქში (Არზრუმში) იყო გამართული. სახადის ავათმყოფობა ჩვენს ჯარში თან-და-თან კლებულობს.

## ომის ამბები

### შერიგების თაობაზე

Ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია სტამბოლიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც შემდეგ ამბავს გვაცნობებს მორიგების პირობების თაობაზე:

„ბოლგარია შეიქნება ცალკე სამთავროდ; ხალხის წარმომადგენლებმა უნდა აირჩიონ თავისთვის მთავარი, რომელიც Ევროპის სახელმწიფოების ოჯახიდამ არ უნდა იქმნეს. ბესარაბიას რუსეთი დაისაკუთრებს და ამის მაგიერად რუმინიას მისცემს Დობრუჯას. ბოლგარიის სამზღვარი იქნება Უავალიდამ (Ეგეის ზღვიდამ) მუსტაფა-ფაშამდინ, ასე რომ Ადრიანოპოლი Ოსმალეთს დარჩება.

„მცირე Აზიაში რუსეთი მიიღებს Ყარსის მაზრას სოღანლუღის მთის სამზღვრამდინ, ბაიაზეთსა და ბათუმს. Ამას გარდა სამხედრო ხარჯს ხუთ მილიარდ ფრანკს Ოსმალოს ხომალდებს რუსეთი ვერ მიიღებს; არც Დარდანელის წყალი იქნება თავისუფალი. Კონტრიბუციას რუსეთი მიიღებს იმ ხარჯიდამ რომელიც ბოლგარიამ Ოსმალეთს უნდა აძლიოს მთლად. Წინ[illegible] რუსის ჯარები სტამბოლში არ შევლენ.“

—

Ოსმალური გაზეთი „ვაკიტი,“ რომელსაც მოჰყავს ზემოხსენებული პირობები მორიგებისა, ამბობს, რომ ეს პირობები ბევრად უფრო მსუბუქი პირობებია, ვიდრემ პირველად რუსეთისაგან წარდგენი-

## ფელტონი

### მშვილდ-ისრით ნადირობა

(Ქუთაისის ცხოვრების სურათები)

Ისარო ჩემო ბატის ფრთიხაო,
შენ მშვილდო ჩემო გულდის ხისაო,
Არ მიღალატოთ, ნებას მომყევით
Და რაც გიამბოთ, ხალხს მოუყევით

(Ახალი პოეტის) !

Მოგიკვდესთ ჩემი თავი, მკითხველო და თქვენც, ბატონო რედაქტორო, რომ ამდენი ხანია ჩემი ნანადირევი არა მომირთმევია-რა თქვენთვის!

Ერთობ დავიგვიანე მე დალოცვილმა და აი, აგერ დიდი მარხვაც დაგვიდგა, თან გაზაფხულიც იწყება და, ვაი თუ ნადირობაზედაც ხელი აგვალებინონ, რადგან ყოველი ნადირი და მცენარეობა ბარტყობას და აღორძინებას იწყებს!

Შენი მტერი მართლა ჩვენი საქმე იქნეს, თუ იმ ნადირებმა, რომლებზედაც მე ვნადირობ, ბარტყობა იწყეს! Აბა, ნადირობა მაშინ გვმართებს, აი! Ერთისა და ორი მშვილდ-ისრის მაგიერ, ათს გავიმართავ.

რაც შემდეგ იქნება, ხომ იქნება და იქნება.. მე თუ ჯანჯალი და ბევრის მოლაპარაკე კაცი არა ვარ, ეხლა რაღას ვიგვიანებ? წავინადიროთ!

—

წავინადიროთ, მაგრამ გარეთ გასვლა არ მინდა?!

რა ლაფი, რა ტბები დგა, თქვენი ჭირიმე, ამ ჩვენს პატარა და ლამაზ ქუთაისის ქუჩებზე! Ფონია საძებნელი, თქვენმა მზემ! ნავებით სასიარულო გაგვიხდა საქმე!

როგორც ქალები, ისე კაცებიც მუხლებამდინ „დაკაპიწებულები“ დახტიან ქუჩებზე—ეგების ზღვასავით გამდგარს ლაფს შეუაროთო!

Ერთ წუთას დავივიწყებ, რომ მონადირე ვარ და მიევადგები ჩვენს ესრედ წოდებულს „ქალაქის თვითსამმართველოს“.

—

ვისაც არ შეხვდები და რაზედაც არ დაელაპარაკები, ყველა ერთს და იმავეს სჩივის:

„—ნეტავი თქვენის ხიცა-ცხლით სრულებითაც არ შემოელოთ ჩვენში ეს რაღაც დუმა და უპრავა არის... რას გვიკეთებენ, შენი ჭირიმე? ვყოლოდა ისევ ის ჩვენი პოლიცია ქალაქის საქმეების გამგეთ. Ახირებულია, ღმერთმანი: ამბობენ, პოლიცია ქალაქის ფულს სჭამდაო! რაც სხვას არ უქნია, იმას არც ჩვენი პოლიცია შვრებოდა; ჩვენში ასეა, ყველა სჭამს ფულს და პოლიციაც სჭამდა ეგება; მაგრამ, მაგიერათ, რასმესაც აკეთებდა კიდეც; ქუჩები მაინც არ ყოფილა იმათ ხელში ამისთანები! Იმ ათასი მანეთიდამ, რომელიც პოლიციას არჩეული ქუჩებისათვის ეძლეოდა, თუ სულ არა, ას და ორას მანეთს მაინც ხარჯავდა დანიშნულებისამებრ. ჩვენი Უპრავისათვის, ბატონო, Დუმას ამ წლის სმეტით სამასი თუმანი დაუნიშნავს ქუჩების შესაკეთებლად, მაგრამ ეს ფული დღესაც ხელ-უხლებელია!“

ვაი, თუ ხვალაც ხელ-უხლები დარჩეს ეს ფული! ხვალ კი არა, ვაი თუ ზეგაც და მაზეგაც, გაისათაც ამ მდგომარეობაში ვიქნეთ, ასე ფონის მძებნა დაგვჭირდეს კიდევ?!

ჩვენც ამ მომჩივრებთან ვიკითხოთ:—რას შვრება ჩვენი დუმა იმ დროს, როდესაც ქუთაისის მცხოვრებლები ამისანა დრტვინვაში არიან ქალაქის ქუჩების შემ-

ლიო და ამ შემსუბუქების მიზეზი ის არისო, რომ რუსეთს არ ჰსრულდა ინგლისთან და ავსტრიასთან ბრძოლის ატეხაო.“

—

„Indép. Belge“-ში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 23 თებერვალს ბერლინიდამ მიღებული:

„ახლა აღარა აქვს ახლა ეჭვი რომ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთ კონგრესი, აღმოსავლეთის საქმეების შესახებ, ბერლინში იქნება დანიშნული და რომ ამ კონგრესის თავსმჯდომარედ იქნება თ. ბისმარკი. ყველა სახელმწიფოები დათანხმდნენ ამაზე, გარდა ინგლისისა, რომლისგანაც მალე მოელიან პასუხს.“

—

გაზეთს „ნიკოლაევის მოამბეში“ დაბეჭდილია შავი ზღვის რუსის ფლოტის უფროსის ბრძანება, რომლიდამაც ეტყობულობთ, რომ ამ მოკლე ხანში რუსის ხომალდები და ცეცხლის-გემები უნდა წავიდნენ იმ ჯარის მოსაყვანათ, რომელიც რუმილიაში და სტამბოლის ახლომახლო ალაგებში იმყოფება ამ ჟამად. ამავე ხომალდებით უნდა გადაიყვანონ აგრეთვე ოსმალოს ტყვეები, რომელთ რიცხვი, როგორც ამბობენ, 140,000 არის.

—

გუშინდელს „კავკაზში“ გამოცხადებული კავკასიის არმიის მთავარ-სარდლის უმაღლესი ბრძანებით, რომლის ძალითაც არზრუმის მაზრის სამხედრო გუბერნატორად მიცვალებულის ღენ. მაიორს შოლკოვნიკოვს მაგიერად, დაინიშნება ღენერალ-მაიორი დუხავსკოი.

—

ამავე უმაღლესი ბრძანების ძალით პოლკოვნიკი არაკინი დაინიშნება სოხუმის სამხედრო მაზრის გამგებლად.

ნემეცურს გაზეთს „Presse“-ში იწერებიან სტამბოლიდამ:

„ტყუილია ის ამბავი, ვითომც რუსეთმა და ოსმალეთმა პირობა შეკრესო, რომ თუ ვინიცობა კიდევ ატყდა ბრძოლა, ეს ორი სახელმწიფო ერთად იმოქმედებენ საზოგადო მტრის წინააღმდეგიო. აქ ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ოსმალეთი ახლა ბრძოლაში მონაწილეობას არ მიიღებს, ის დაიჭერს ნეიტრალიტეტს, ე. ი. არც ერთ მებრძოლ მხარეს არ მოეხმარება.“

—

ზემოხსენებულივე გაზეთის სიტყვით, მორიგების პირობებს შორის არის ერთი, რომელიც თხოულობს, რომ ოსმალეთმა მმართებლობის ცვლილება (რეფორმები) შემოიღეს სომხეთში.

—

ლონდონის გაზეთს „Times“-ში იწერებიან:

„ორი კვირის განმავლობაში, ე. ი. მარტის პირველ რიცხვებამდინ, ორივე მხრით ხელმოწერილი და დამტკიცებული უნდა იქმნეს რუსეთსა და ოსმალეთს შუა შეკრული მორიგების პირობა. ამბობენ, რომ რუსეთმა კიდევ შეამსუბუქა თავის პირობები; სხვათა შორის კონტრიბუციის ფული დაუკლიათო და ბოლგარიაში მხოლოთ ექვსი თვის განმავლობაში დააყენებს თავის ჯარსაო.“

—

„როიტერის სააგენტო“ გვაცნობებს, რომ ოსმალოს მმართებლობამ მისცა ნება-რთვა რუსებს, რომ იმათი ჯარი სანსტეფანოში დარჩეს, სანამ ინგლისის ფლოტი და ჯარი მარმარილოს ზღვიდამ არ წავაო.

—

ინგლისის სამხედრო მინისტრმა ზარდიმ ილაპარაკა ქვემო-პალატაში ინგლისის ჯარის მდგომარეობაზედ და სხვათა შორის, სთქვა შემდეგი:

„თუ საჭიროება მოითხოვს, ამ ჟამად ჩვენ შეგვიძლია 110,000 კაცი გამოვიყვანოთ ბრძოლის ველზე სრულიად დამზადებული და რიგიანათ გაწრთვნილი, ამას გარდა, თუ კიდევ დაგვჭირდა, ჩვენ გვყავს 400,000 მილიცია და ვოლონტერები, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში მზათ იქნება მტერს შეებას.“

—

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილია შემდეგი ტელეგრამმა 21 თებერვალს პეშტიდამ ეილებული:

„ავსტრიის ჯარები, როგორც ამბობენ, მომავალ კვირაში შევლენ ბოსნიაში. ჰერცოგოვინის დაჭერაზე ჯერ არა ისმის-რა. ყველა ჯარები ავსტრიისა, რომელიც ბოსნიის დასაჭერად დანიშნულია, 45,000 იქნება.“

—

ხედვარე? რას შვრება და მთელს სხდომებს იმას ანდომებს, რომ გარდაწყვიტოს — თუ როგორ შეუდგეს უპრავა ამ ფულების, ამ საცოდავი სამასი თუმნის დახარჯვას ქუჩების შესაკეთებლათ? თავისი „ტაჩკები“ გაიწყოს, თუ იქირაოს?

ამ საგანზე 9 თებერვალს იყო სხდომა და, სანადიროთ მიმავალს შემთხვევით შემხვდა იმ სხდომაზედ დასწრება; მაგრამ, რომ გამოვედი, ბევრი კი ვინანე — რატომ დავესწარ-მეთქი. მეს-სეკრეტარის ს. ლ—ძის ყეფამ, ხმოვანების — დ. ა—ძის კნავილმა და უ. ქ—ის ზმუილმა დაგვანელა, თქვენი ჭირიმე, იმ საღამოს. სამს დღეს ყურები გაჭედილი მქონდა! ბევრი უშვერი სიტყვები წამოისროლეს ამ სამმა ხმოვანმა იმ საღამოს: მაგრამ ჩემს გულში კი, ღმერთო შემცოდე, ვამბობდი: ჩვენი თავი, უპრავა და დუმა ამაზე უარესის ღირსნიც არიან!..

—

აი, ასე ვართ ყელამდინ ჩაფლულნი ტალახში, ლაფში, ტბებში და ყველაფერ სიგლახეში, ერთის სიტყვით. „როგორიც ბერი ისეთიც ერიო, იტყვიან ჩვენში და დალოცოს ღმერთმა ამ ჭეშმარიტების მთქმელი: რა დუმა, რა უპრავა რა თავი ჩვენა გვყავს, რომ ჩვენს ქალაქს ან ეხლა და როდისმე შორს მომავალში სიკეთე დაეყრება?!

—

წარმოიდგინეთ ახლა ჩემი მდგომარეობა: ქუჩებზე ასეთი წარღვნაა და მე კი განადირება მინდა დღეს საღამოს ჩემი მშვილდ-ისრით „მასკარადნი ვეჩერში!“ ოღონდ იქამდისინ ნუ დავიხრჩვები და იქ რაც დამემართოს-დამემართოს, ყველაფერს ავიტან ქუთაისის მასკებისაგან.....

სანამდისინ მასკა ლანძღვას დამიწყებდეს, თუ მოვასწარი ისრის ტყორცნა, ხომ კარგი და პატიოსანი, თუ ვერა და რა გაეწყობა, მაკინო, სანამ გულს იჯერებდეს!

გადავსწყვიტე ასე და გავსწიე. გავსწიე და დიდის ცოდვა-მადლით, ზოგან ცურვით, ზოგან ჩიგორგალით და ზოგან ფონათ გასვლით, მივაღწიე როგორც იქნა კლუბამდინ. მივაღწიე და შევედი..

შევედი, მარა რას ნახავს ჩემი თვალები უკეთესს!.. შესვლისათანავე ჩემს ისარს მასკა ეჯახა: აგერ დაგოგმანობს პატარა და ლამაზი ტანის მასკა; ქვემა ტანზე (რასაკვირველია, გარეთ!) დარაის თეთრ-წითელი და მუხლებამდისინ მოკლე იუბკა აცვია; შაქრის თავებივით გადაგორაკებულს ზედა-ტანზე, რომელიც ნახევრათ ღია აქვს, აცვია წითელი დარაიასივე პერანგი ანუ „რუბაშკა;“ მუხლებს დაბლა თოვლისაებ თეთრი ჩულქები უჩანს, რომელთაც ახალ-მოდური, ლენტებით შეხლართული და კინტოური ქუსლებიანი ფეხსაცმელები ჰფარავენ; ფეხები თავ-დალმა დასობილ ქინძისთავს მიუგავს; პირი ნახევარი აკრული აქვს და თავი უპრალოთ, მაგრამ კეკლუცათ მორთული... ერთის სიტყვით, რალა ბევრი გავაგრძელო, ეს მასკა ორი დღის გამოფრენილს ვრიტსა ჰგავს; ვრიტივით დაგოგმანობს და ვრიტივითვე ღუღუნობს.

— მე მუნჯი ვარო, უნდა სთქვას მასკამ — ვერც ჩემსას გაგაგონებთ, ვერც შენსას გავიგონებო! დიდს ხანს არ შერჩა კი მუნჯობა: ვიღაც ენ-უქმმა ქალმა უცბათ წამოუძახა სახელი და ამ მასკამაც პასუხი გასცა — რა გინდაო!.-ასე გამოაშკარავდა ვინც იყო ეს ახირებული მასკა, მაგრამ მასკა მაინც არ მოიხადა. გამომიტყემლდა თვალები მის ცქერაში, მაგრამ თავს იმით ვაიმედებდი, რომ ჩემთან ბევრს სხვა ჭალარა ნარევ გვამებსაც თვალები სულ იმისკენ რჩებოდათ: ამათაც დაუმჟავდათ პირი...

სანამ ეს მასკა იქ იყო, ამ მდგომარეობაში ვიყავით მისი ცქერითი და რომ წავიდა, მაშინ კი მოგვაგონდა კარზე მომდგარი დიდი-მარხვა, მივაფურთხეთ ეშმაკს და ერთხმათ გარდავწყვიტეთ: „ბლაღოროდნი ჩლენების კლუბში“ არ არის რიგი ასე ჩაცმული, ასე შილიფათ მორთული მასკები დაიარებოდნენ!“

აგერ მეორე მასკაც! ჯერ კიდევ წელ გაუმართველ რწყილსა ჰგავს: რწყილივით თავიდამ ფეხებამდისინ შავათ არის გასუდრული; რწყილივით მარდია და ცქვიტი: აქ ამას მიახტება და უკბენს, იქ იმას ემუქრება; დახტის ასე და ტრიალებს ციბრუტივით. ლაპარაკი და მახ

# სამართალი

## ანდრეევსკის ქალის საქმე

სხდომა მეოთხე

3 მარტს

სხდომა დაიწყო დილის $11\frac{1}{4}$ საათზე.

პირველად წაიკითხეს ჩვენება ივანე ჯაიანისა, ალექსი პეკეთაშვილისა და ია სულხანოვისა; ამ უკანასკნელის ჩვენება ეთანხმება მომრიგებელ მოსამართლის წინამძღვაროვის ჩვენებას. წაიკითხეს აგრეთვე ჩვენება ასსან ბაირაშვილისა, რომელიც იმ დროს ანდრეევსკის მამულში იყო დაყენებული; ამან სხვათა შორის სთქვა, როცა დრეს ტყის დასახედავად იყვნენ, დ. ჩქოტუა მუდამ კვნესოდა და როგორღაც მოწყენილი იყოო.

ამ გარემოების თაობაზე დ. ჩქოტუამ სთქვა, რომ ჩემზე ძალიან ცუდი მოქმედება ჰქონდა იმ გარემოებასაო, რომ გლეხებმა იჩივლეს ნინო ანდრეევსკის ქალთანა, რომ ვითომც მე ვაწუხებდე იმათ და დადებულს გადასახადზე მეტს ვართმევდე.

ტუსაღი მუსსა-იზმაილ-ოღლი (ტუსაღი, რომელსაც, პოლიციის აფიცერის ლოლაძის სიტყვით, გაუტყდა პეტრე ბაბისონია). ლოლაძე მოვიდა საავათმყოფოში, სადაც მე, წერეთელი და პეტრე ბაბისონია ვიწექით და მითხრა, რომ, თუ გასტეხ ბაბისონიას, ველიკი კნიაზს ვთხოვო, რომ შენი დანაშაული გაპატიოსო. ოთხი დღის განმავალობაში არ მოვეშვი ბაბისონიას და ვცდილობდი გამომეტეხა, მაგრამ ის მუდამ ტიროდა და ამბობდა, რომ მე არაფერში დანაშაული არა მაქვსო, ტყვილა მაწვალებენო. ერთხელ მოვიდა ლოლაძე და როცა უთხარი, რომ ბაბისონია არ ტყდება-მეთქი, დამარიგა, ასე თქვიო, რომ პეტრე ბაბისონია გატყდაო და ესა-და-ეს თქვაო; თუ ამას იქ, უეჭველად განგათავისუფლებო. მე უთხარი, რომ, თუ დამაფიცეს, ტყუილის თქმა არ შემიძლია, ყველაფერში გავტყდები-მეთქი. მაგრამ იმან დამარწმუნა, რომ არ დაგაფიცებენო. შემდეგ ამავე ლოლაძემ მეტეხის ციხეში წამიყვანა და დამაყენა მეორე ტუსაღთან ზურაბ ქორიძესთან, თან დამარიგა, რომ მეცადნა ამის გამოტეხა და თუ ვერ გამოვტეხდი, მაინც მეთქვა, რომ გამოვტეხე. ლოლაძემ მომცა მე სამი აბაზი, ბაბისონია დაათვრე და გამოსტეხეო; მაგრამ დოქტორ მარქაროვმა არ მოგვცა ნება არაყის ან ღვინის მოტანისა.

პროკურორი. დაგპირდა რამეს შენ ლოლაძე?

მოწამე მუსსა-ოღლი. ლოლაძე დამპირდა, რომ ათას მანეთ მოგცემო და ნამესტნიკსაც ვთხოვ, რომ განგათავისუფლოსო, თუ გამოსტეხ მაგათ ან როგორც მე დაგარიგებ, ისე იტყვიო. (პროკურორის კითხვაზე.) ბამომძიებელს მე უამბე ისე, როგორც ლოლაძემ დამარიგა, ნამდვილად კი არც ერთა ამათგანი არ გატეხილა ჩემთან.

ნიკოლაი პრინცი. 22 ივლისს 1876 წელს მე და ჩემი [illegible] ხულო ქრუჟოკში მივდიოდით; [illegible]ცოვის ქუჩაზე ჩვენს ფაეტონს დაეჯახა მეორე ფაეტონი, რომელშიაც ისხდნენ ოთხნი: ერთი ქალი რო კაც შუა და ერთი კაცაც ძირს იჯდა; კაცები ჩოხებში იყვნენ.

დოქტორებმა გლავიცკიმ, ბარალევიჩმა, ბლიუმბერგმა და პავლოვსკიმ, რომელთაც მესამე დღეს გაეჭრად ყარაიაზში წყლიდამ ამოღებული გვამ ნინო ანდრეევსკისა, ერთხმად გამოაცხადეს, რომ, როგორც ეტყობოდა, ნინო ანდრეევსკის ქალი ჯერ ხელით ყელზე მაგრა დაჭერით და გულზე დაჭერით წამლჩვალი იყო და მერე კი წყალში ჩაგდებულიო.

## თფილისის სამკურნალო

(4-ს აპრილის სახსოვრად)

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 8 საათიდამ დილისვე 10 საათამდინ.

ორშაბათს; ექიმი მინკევიჩი—ხირურგიულ ავათმყოფობისათვის, ბარალევიჩი და ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

სამშაბათს: ვერმიშევი და მაკაროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის, თამამშევი—თვალის ექიმი.

ოთხშაბათს: ლისიცევი—შინაგანი ავათმყოფ., მიუჩარიანცი—ვენერიული ავათმყოფობისათვის,

---

არც ამას უვარგა. ამიტომაც უფრო მიწერ-მოწერით მოქმედობს ამოირჩევს: ვისმეს, წაიყვანს კუთხეში და საიდუმლოთ მიწერ-მოწერას ჰმართავს... ამბობენ, ეს მასკა უმასკოთაც, როდესაც დასჭირდება, რწყილს ჩამოგავსო; უმასკოთაც რწყილივით დახტისო...

—

— შენ ეგ მშვილდ-ისარი რათ გინდა აქ, რომ მოგიტანია? მკითხავს ერთი მასკა.

— სანადიროთ.

— აქ რა სანადირო ადგილია? მონადირე ტყეში უნდა...

— ბაჟი ვარ, რომ ამ ტაროსში ტყეში წავიდე, როდესაც ყოველგვარი ტყის ნადირი აქაც მოინახება?!

— იყავი, თუ გერჩიოს, რადგან ამისთანა ახირებული მონადირე ყოფილხარ, მაგრამ ბევრი ნადირი კი არ დახოცო!

— მე იმისთანა მონადირე გახლავარ, რომელიც ნადირს სრულებითაც არ ჰკლავს, არამედ მჩატეთ დასჭრის ანუ ცოტათი ჰკაწრავს და შემდეგ ცოცხლათ იჭერს, რომ ასე ცოცხლათვე მიართვას ჩვენ ბატონს „მეგაზეთეს“. ჩემი ისარი მოწამლულია და რაკი ერთხელ დავსჭრი ნადირს, მერე მშვიდობით! მისი გამობრუნება შეუძლებელია: ჩემი ისრის დაღი სამუდამოთ დააჩნდება. ჩემი ისრის გაკაწრული თათრის ტყვიით გაკაწრულს არ ჰგავს... თათრის თოფი შორს მანძილზე მიდისო, ამბობენ, და „ბევრი ჩვენი ვაჟკაცებიც შორის გზა გამოვლილმა და დაღალულმა ტყვიამ გაჰკაწრაო, ზოგი ზურგში, ზოგი კუნთებში და ზოგიც მკლავში იმ დროს, როდესაც პირი მოყვრისკენ ჰქონიათ და ზურგი მტრისკენ. ეს „ვაჟი-კაცები“ დღეს ჩვენსავით კარგათ არიან და ბულვრის ატალახიანებულ ალლეებს ტკეპნიან. ჩემი ისრის საქმე კი სულ სხვაა: ის შორს მანძილზე არ მიდის, და ამიტომაც გზაში არც ისე იღალება, რომ გაკაწვრა არ დაეტყო ნადირსო... ამას თავი დავანებოთ, მასკა; შენ ეს მითხირი:

— თუ რა მიზეზია, რომ დღეს ასეთი უფერული მასკები ხართ? ვერავისთან ვერც მისვლა გაგიბედნიათ და ვერც რასმესი თქმა?

— რა ვქნათ, რომ არავინ გვეკარება ამ ზალაში!.. ყველა ისინი, ვისთვისაც რამე საგულისხმო სათქმელი მქონდა, ეგერ იმ „კარტის ოთახში“ შემალულან და კარტს შექცევიან.

— სულელები ხომ არ არიან, თავი გაგალანძღვინონ!..

—

შევიხედოთ მართლა იმ „კარტის ოთახში,“ ვნახოთ ერთი რა კაცები სხედან იქ, რომელთაც მასკები ასე შორიდამ უკრეჭენ კიბლებს.

აგერ კუთხეში „მწვანე მინდვრის“ გარშემო ოთხი გვამი სხედან. ამ ოთხს გვამში ერთი მეტის-მეტად შესამჩნევი გვამია. ორი ნიშნით კი გამოიცნობა: ბრძნულად აპრიალებს დასივებულ თვალებს და საალდგომო ინდაურივით თეთრათ არის გასუქებული. ამბობენ, ამ გვამისათვის ამას წინეთ ერთს მასკას უთქვამს: „გავიგე, რომ შენ თანამდებობას გაძლევენ, მაშინ როდესაც ნამეტანი უძილობისაგან და[illegible]ტეპული, ღირსიც არა ხარ!“.—

აგერ ამ მეორე მწვანე მინდვრის გრუპაში, გარეგანი ტახივით ჩასუქებული, გვამი ჩაჰყურებს კარტებს. ამის ტანთჩაცმულობა პაპუნა მეუდაბნოელის „უზდაბადინის ჩანჩალიკების“ ფორმას მაგონებს. ამ გ[illegible] თურმე ყოველთვის ეს „კარტის ოთახი [illegible] მწვანე მინდ[illegible]რი ჰპატიობს; არც ამ ღამეს და არც წინეთ ამისათვის არც ერთს მასკას არა უთქვამს რა.—მწვან[illegible]რზე კი უფროსთან აგებს და უნცროსთან იგებს!!

—

კიდევ ბევრნი მიმალულან აქ, მაგრამ ამათზე მეორე მასკარადამდინ იყოს.

აი, ასე ემალებიან ეს კაცები და ამათი მგზავსნი პირში მართლის მთქმელს და მათი მოქმედებაების გამოამჟღავნელს!? ფრთხილად იყავით! მასკას ემალებით, მაგრამ, მაგიერათ, ჩემს მშვილდ-ისარს ვერსად დაემალებით!...

მშვილდ-ისრელი

ხუთშაბათს: ვერმიშევი-შინაგან ავათმყოფობისათვის.

პარასკევს: ლისიცევი და ასატუროვი—შინაგანი ავათმყოფობისათვის და—ხირურგიულისთვის.

შაბათს: ვერმიშევი და მარკაროვი—შინაგანი ავათფმყოფი., მიუჩარიანცი—ყურის და ხირურგიულ ავათმყოფობისათვის და თამამშევი—თვალის ავათმყოფობის.

## ახალი ტაქსა ბირჟის იზვოსჩიკებისა

ქალაქის რჩევამ მიიღო მხედველობაში ქერის და თივის სიძვირე დაამის გამო ამ პირველ ქრისტეშობისთვიდამ დანიშნა შემდეგი დ რ ო ე ბ ი თ ი ტ ა ქ ს ა:

| | ფაეტონის | დროჟკის |
|---|---|---|
| ერთი გზა . . . . | 40 კაპ. | 25 კაპ. |
| საათი . . . . . . | 80 „ | 55 „ |
| ქალაქიდამ—ნავთლუღს | 80 „ | 50 „ |
| — მუშტაიდამდინ — | 60 „ | 45 „ |
| — მუშტ. და უკან ½ საათი გაჩერება | 1 მან. 20 „ | 90 „ |
| რკ. გზიდამ ნავთ.— | 2 „ — „ | 1 მან. 50 „ |
| —დამოქნამდინ— | 1 „ 50 „ | 1 „ — „ |
| —ქალაქ. ყველგან | 1 „ — „ | — „ 70 „ |
| რკ. გზამდინ ქალაქ.— | „ 80 „ | — „ 50 „ |
| — ნავთლუღიდამ | 1 „ 50 „ | 1 „ — „ |
| რკინის გზამდინ და უკან — — | 1 „ 30 „ | — „ 90 „ |

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ა). ორ ფუთამდინ ბარგისათვის იზვოსჩიკს არ შეუძლია, რომ რამე გამოართვას ვისმე.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა ბ). ნაშუაღამევის ტაქსა იგივე დარჩება, რაც ახლა არის ე. ი. ფაიტონის—ერთი გზა—60 კაპ., საათის 1 მან. და 20 კაპ., დროჟკის—40 კაპ. და საათის—80 კაპ.

# განცხადებანი

Желаютъ арендовать нѣсколько десятковъ десятинъ пахатной земли близъ Поти-Тифл. желѣзной дороги.

Адрессъ Куки: Реутовская улица № 39

(3—2)


# თესლები

ბოსტანისა და ყვავილებისა, ახლადმიღებული საზღვარ გარეთიდამ ისყიდება კავკასიის სამეურნეო საზოგადოების კამისიონერთან ლარშესთან, გოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 11.

(10—1)

ვისაც ჰსურს იყიდოს ხმელი საშენებელი ტყე, ფიჭვისა და ნაძვის, ფიცრები, სამი და ოთხი წლის განახერხი, შეუძლიან მიმართოს პოლკოვნიკის ბ უ ჭ ყ ი ე ვ ი ს სადგომში, არსენალის ქუჩაზე, სახლის № 31.

საჭიროდ ვრაცხ გამოვაცხადო, რომ რიგ-რიგზე შევუსრულებთ ყველას, ვინც შეგვიკვეთს. ფიცრების მოტანა ამ წლის 1 მაისიდამ დაიწყება.

(3—1)

# სალამური.

ანუ ლექსთა კრება.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძესი.

ფასი ორი შაური.

თფილისში ე. ხელაძის. სტამბაში, და ქუთაისში, ი. მესხთან.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?"

კომედია ალ. თ უ თ ა ე ვ ი ს ა

ისყიდება: ქ ა ლ ა ქ შ ი—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თ ე ლ ა ვ ს—იოსებ კუზმანაშვილთან, ქ ა რ ე ლ ს—დავით ქეროჩაშვილთან, ხ ა შ უ რ ი ს ა და ბ ე ჟ ა თ უ ბ ნ ი ს ბუფეტში, ს უ რ ა მ ს — ზაქარია არუწოვთან, ქ უ თ ა ი ს ს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერცვაძესთან ფ ო თ შ ი —ელისბარ ბაბალოვთან, ც ხ ი ნ ვ ა ლ ს—თ. ივ. თაქთაქოვთან, ს ა ქ ა შ ე თ ს— თ. ნიკ. დიასამიძესთან, მ ე ჯ ვ რ ი ს ხ ე ვ ს—მასწ. მოსე ნათაძესთან, გ ო რ შ ი—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ისყიდება

უ. ვართანოვის წიგნის მაღაზიაში,

ეშმაკის ზარი

მდაბიური ამბავი

ალ. სა. მესხიევისა.

გამოცემული ზაქარია ჭიჭინაძისაგან.

ფასი ერთი შაური

## კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებელი საზოგადოებისაგან

რადგან ხშირად მოგვდის სხვა და სხვა პირებისაგან თხოვნა; რომ გვსურს ყარაიაზის მამული ვიყიდოთო, ამის გამო საჭიროდ ვრაცხთ საქვეყნოთ გამოვაცხადოთ რომ 16,000 დესიატინიდამ ამ მამულის I განყოფილებაში კიდე დარჩენილია გაუყიდავი ქვე-მოხსენებული უჩასტკები, რომელნიც მომეტებული ნაწილი სარწყავი მამულებია.

გაყიდვის პირობა და ფასი უჩასტკებისა ისევ ძველი რჩება.

ვისაც ამ მამულების შეძენა ჰსურს და დაწვრილებითი პირობების შეტყობა, შეუძლიან მიმართოს ხსენებული საზოგადოების კანცელარიაში, ბაროვის ქუჩაზე, სახლი №7, ანუ ყარაიაზის გამგებელთან ივანე სტეფანეს ძეს ხატისოვჩაზე, №15.

### გასასყიდი უჩასტკები:

| არხი | უჩასტკა | დესიატინა |
|---|---|---|
| 3 | — — — № 5 — — — — | 44 |
| 4 | — №№ 6,7,8 და 9 — | 457 |
| 5 | — „10,11,12,13,14 და 15 — | 547 |
| 6 | — — — — 18 და 20 — | 100 |
| 7 | — — — — 27 — — — | 51 |
| 9 | — — — — 41 — — — | 131 |
| 10 | — — — 47 — — — — | 50 |
| 11 | — — — 53 და 58 — — | 170 |
| 14 | — — 8186 — — — — | 584 |
| 15 | — — — 87—დამ 95—მდინ | 950 |
| 16 | — — 101,102 და 103 — | 450 |
| 16 | — — 110—დამ 115—მდი — | 750 |
| ჭანდარის არხზედ | 104—დამ 107— | 500 |
| სულ | — — — | 4,784 დესიატინა |


| რკ. გზა. | დილა. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . | 9 | 21 | 5 | 18 | | | | |
| მცხეთა. . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი. . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი. . . | 6 | 47 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 41 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახ.-სენაკი . | — | — | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი. . . | 9 | 40 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . | 9 | 13 | | | | | | |
| ახ.-სენაკი. | — | — | | | 1 | 18 | - | 66 |
| სამტრედია. | 11 | 16 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . | 12 | 13 | | | 3 | 4 | 1 | 69 |
| ყვირილა. . | 1 | 18 | ღამე | | 3 | 98 | 2 | 21 |
| სურამი. . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| თფილისი . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მ. | კაპ |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ: | | |
| ქუთაისს, ფოთს . . | 1 | — |
| გორს, დუშეთს, სიღნაღს | - | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურგს, ვარშავას . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში. | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოშტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და საზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . . . | 4 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 8 |

| ბირჟა | მან. | კაპ |
|---|---|---|
| პეტერბურგი, 27 თებერ. | | |
| ერთი მანეთი ღირს: | | |
| ლონდონში 23 პენსი. | | |
| პარიჟში 271 სანტიმი. | — | 78 |
| ესკონტი (სარგებლისფასი) | — | 62 |
| ბანკის ბილეთი 5% | 7½ | — |
| მოგებიანი (პირველი სესხი) | 96 | 50 |
| მოგებიანი (მეორე სესხი) | 237 | 50 |
| | 234 | — |
| ბირჟის ფურცლები: | | |
| ტფილ. სააზნ. ბანკისა. | — | — |
| ხერსონის ბანკი | 83 | 25 |
| მოსკოვის . . | 83 | 50 |
| ოქრო ½ იმპერიალი. . | 7 | 52 |
| აქციები: | | |
| ოდესის სავაჭრო ბანკის | 177 | — |
| ფოთი-ტფილ. რკინ. გზის | — | — |
| შავი ზღვის ცეცხ. გემების | 527 | — |
| კავკასის და მერკურის. . | 225 | — |
| პირვ. სახლვევ. საზოგ. | 745 | 50 |
| პეტერბ. სახლვევ. საზ. | 235 | 50 |
| მოსკოვის სახლვევ. საზ. | 268 | — |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი, 3 მარტი. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | 50 |
| ფქვილი წითელი . . | 1 | 35 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 6 | 80 |
| —ამერიკისა, ფუთი . . | 7 | 40 |
| გაპენტილი ბამბა ფუთი. | 10 | — |
| მატყლი თუშური ფთ. | 8 | 20 |
| —თარაქამისა ფთ. . | 4 | 50 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | — |
| ქონი, ფუთი. . . | 6 | 50 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 8 | — |
| სტეარინის სანთელი, ფ. | 14 | — |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | 1 | 80 |
| —ცხვრისა, ლიტრა. . | 1 | 80 |
| სპირტი, გრადუსი . | — | 14 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 70 |
| —ფხვნილი ფუთი . . | 6 | 50 |
| ყავა გრგვალი, გირვ. . | — | 70 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთ. | 12 | — |
| თამბაქო, საშუალო ფუთი | 7 | 60 |

Дозволено цензурою Тифлисъ, 3 Марта 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ხ. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.